ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

### ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

**ხელის-მოწერა:** თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდამ პირველ ივლისამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა, თანვე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 30 მარტს.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია თ. Გორჩაკოვის პასუხი მარკიზ სალსბერის ცირკულიარზე:

Თ. Გორჩაკოვი უარ-ჰყოფს იმ აზრს, რომ სან-სტეფანოს პირობის ძალით შესდგება ძლიერი სლავიანური სახელმწიფო, რომელიც მორჩილი იქმნება რუსეთისა. Ბოლგარიაში მხოლოთ ის ცვლილება მოხდა, რასაც საზოდადოთ სტამბოლის კონფერენცია თხოულობდა. სალსბერი ამბობს, რომ რადგან ომი მოხდა, ყველაფერში დამყარება სტამბოლის კონფერენციის პროგრამმაზედ არ შეიძლებოდაო. Ბოლგარია არ იქნება რუსეთისაგან დამოკიდებული.

შემდეგ ნათქვამია, რომ Ბათუმის შეძენა არის მოლოთ ერთათ-ერთი სარგებლობა, რომელიც მიიღო რუსეთმა ამ ომში, ომში, რომელიც იკისრა და შეასრულა მარტო ერთმა რუსეთმა. მაგრამ ამ შეძენასაც მხოლოთ ის მნიშვნელობა აქვს რუსეთისავის, რომ შემდეგში მტრისაგან თავის სამზღვრების დაცვა შეიძლოს. Უეჭველია, რომ Ინგლისისათვის უფრო სანატრელი იქმნებოდა, რომ სომხეთი სულ Ოსმალების ხელში დარჩენილიყო; მაგრამ რუსეთი თავის მშვიდობიანობის დასაცველად ზრუნავს, რადგან შემდეგში ის აღარ იქმნება იძულებული მუდამ ომის ატეხის დროს მიადგეს ამ ციხეებს; ნახევარ საუკუნის განმავალობაში რუსეთმა სამჯერ აიღო Ყარსი.

Თუ Ინგლისს ჰსურდა, რომ ეს მიწები და ციხეები არ დაჰკარგოდა Ოსმალეთსა, ის უნდა დათანხმებულიყო რუსეთის წინადადებაზედ, ბერლინის მემორანდუმისა და გრაფ Ანდრაშის-შუვალოვის ვენაში გაგზავნის დროს, რომ ერთად ძალა დაეტანებიათ Ოსმალეთისათვის და შეესრულებინათ იმისთვის ის, რაც ახლა ამდენი სისხლის ღვრით შეასრულა რუსეთმა.

რადგან მაშინ Ინგლისმა ამაზე უარი სთქვა, ამის გამო ახლა საფუძველი არა აქვს დაუშალოს რუსეთს ისეთ ნაირად გარიგება საქმეებისა, რომ იმას შემდეგში აღარ დასჭირდეს ახალი ბრძოლა, ახალი სისხლის-ღვრა.

**პეტერბურღი, 31 მარტს.** „Agence Russe“-ში იწერებიან:

Თ. Გორჩაკოვის ცირკულიარმა სამზღვარ გარეთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. Გერმანიის შუამავლობით ახლა კიდევ გაცხარებული დიპლომატიური მუშაობაა იმისთვის, რომ კონგრესსი შესდგეს და მშვიდობიანობა დამყარდეს. Ამნაირად იმედი არის, რომ საქმე უბრძოლველად გათავდეს.

**პეტერბურღის ბირჟა, 31 მარტს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| Ლონდონი — | $23^{15}/_{16}$ | „ | „ |
| Ამსტერდამი — | 121—75 | „ | „ |
| Ჰამბურგი — — | 262 | „ | „ |
| Პარიჟი — — | 250 | „ | „ |

შინაგანი სესხის ბილეთები 5%:

| | |
|---|---|
| Პირველი სესხის — — | 229—25 |
| Მეორე სესხის — — — | 226—05 |

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| Პირველი გამოცემის — | 96—12 |
| Მეორესი — — — — | 96— „ |
| Მესამესი — — — — | 95—50 |
| Მეოთხესი — — — — | 95— „ |
| Ალმოსავლეთის — — | „— „ |
| Ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—35 |

## საქართველო

### რუსული ენა ჩვენ სასწავლებლებში.*)

(Დასასრული)

Თუმც სასურველია, რომ ახალი სახელმძღვანელო გვექნეს რუსულის ენის სწავლებისათვის, მაგრამ ისეთი კი არა, როგორებიც სმირნოვის, პაუნერის და პ—ლის სახელმძღვანელოებია, არამედ იმ გვარათ შედგენილი, როგორც არის „როდნოე სლოვო“; ხოლოთ ეს სახელმძღვანელო უნდა იქმნეს უფრო მდიდარი სურათებით, ვიდრე „როდნოე სლოვო“. სურათები კი უნდა იქნეს აღებული ისეთ საგნებისაგან, რომელნიც უცხონი არ არიან ჩვენი ყმაწვილებისათვის. „როდნოე სლოვოს“ უმთავრესი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ ის რუსებისთვისაა შედგენილი და ბევრი ისეთი რამ არის შიგ და ისეთნაირათ, რომ ჩვენ სწავლის დამწყებ პატარა ყმაწვილებისათვის ძნელია იმისი მოხმარება. Დამწყები - ყმაწვილისათვის ენის სიუცხოვეც კმარა და თუ ამას დაემატა სიუცხოვე იმ საგნებისაც, რომლებზედაც მასწავლებელი ელაპარაკება, მაშინ სულ უარესათ გაუჭირდება სწავლა.

Სმირნოვის, პაუნერის, მარგას და სხვ. ამ გვართ სახელმძღვანელოებს კარგათ ვიცნობთ. Ბევრი თავი გვიტეხია მათი კითხვით, ბევრი სისხლი გაგვშრობია მათი შესწავლისათვის; მაგრამ ვერა გამოვიტანეთ-რა. Მოწამე არის ის მშვენიერი ცოდნა ლათინურისა და ფრანცუზულის, რომელიც გამოაქვთ ყმაწვილებს სასწავლებლებიდან.

Სახალხო შკოლებისათვისაც საჭიროა, რომ ის ორი-სამი ძვირფასი საათი, რომლისთვისაც მოიცალეს წელში გაწყვეტილ გლეხის შვილებმა, სარგებლიანათ მოახმარონ ყმაწვილს კლასში სწავლით, კლასში უმთავრესი შრომის შესრულებით, და არა გაკვეთილების სახლში გატანებით, რომ იქ იქაქანონ ყმაწვილებმა და თავი გაირეტონ სიტყვებისა და ფრაზების უსაფუძვლო ზეპირობით.

Სმირნოვის, პაუნერის, მარგოს და პ—ლის სახელმძღვანელოები კარგებია, მაგრამ ვისთვის, იცით?—მასწავლებლებისათვის. Ამ სახელმძღვანელოებთან ბევრი თავის ტეხა აღარ დაჭირდებათ მასწავლებლებს: ეტყვიან ყმაწვილებს, ჯერ ეს სიტყვები დაისწავლეთ აქედან აქამდისინო და მერმე გადავთარგმნოთო;

*) „დროება“, № 66.

მეორე დღეს მოვლენ ყმაწვილები, რომელთაგან ოთხში სამს არ ეცოდინება ყველა სიტყვები, და მასწავლებელის შემწეობით თარგმნას შეუდგებიან.

აქ დიდი შრომა და თავი-სტეხა არ სჭირია მასწავლებელს. მაგრამ ყმაწვილებისათვის დამღუპველია ამნაირი მეთოდი. მასწავლებლებისათვის. ხომ არ არიან მოსაწავლეები! მასწავლებლები არიან მოსწავლეებისათვის.

შრომა დიდი უნდა ამ საქმეს, მძიმე საქმეა, მაგრამ რა გაეწყობა? ვინც ისურვებს შრომას, ის მოჰკიდებს ხელს.

ის არავინ იფიქროს, რომ ყმაწვილი პასსიურ მდგომარეობაში იქნეს, როდესაც მასწავლებელი უმთაერესს სიმძიმეს გაკვეთილისას კლას'ში შეამჩნებინებს ყმაწვილებს; იმას კი არ ვამბობ, რომ მასწავლებელი კათედრაზე წამობრძანდეს და ლექციები იკითხოს. ის უნდა ეცადოს აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს ყმაწვილებს თავის საუბარში. სახლში გატანებულ გაკვეთილებით და ქიუნერის მგზავს სახელმძღვანელოებით ჩავარდება ყმაწვილი პასსიურ მდგომარეობაში და აქტიური მნიშვნელობა ამ გაკვეთილებსა და სახელმძღვანელოს ექნება იმაზე, რომელნიც მას ბევრ სიტყვას დააზეპირებინებენ, მაგრამ საქმეში კი ვერ გამოაყენებინებენ ვერცერთს ხეირიანათ.

ჩემის ჰაზრით, საქმის ცუდი მდგომარეობის გასაუმჯობესებელათ საჭიროა შემდეგი:

ა) გამრავლება ჩვენ სასწავლებლებში ისეთ მასწავლებლებისა, რომელთაც კურსი შეუსრულებიათ სამასწავლებლო ინსტიტუტში და სემინარიაში, რადგან ეს პირები იქნებიან გაცნობილნი სწავლების ახალ მეთოდასთან, და არა „ლაზლოვორის“ მომხრენი;

ბ). მოპოება სახელმძღვანელოს სურათებითურთ, რომელიც იყოს სასარგებლო კრებული მასალათა ბოვშვების საკითხავათ მასწავლებლის შემწეობით, რომელიც ბავშვებს უხატავდეს ნაცნობ საგნებს, გარემოცულ ბუნებას და ადგილობრივ ზნესა და ჩვეულებას; სანამ ამისთანა სახელმძღვანელო არა გვაქვს, უკეთესია ყველაზე „როდნოე სლოვო“, რომლის ზოგიერთი სტატიები მშვენივრები არიან.

გ). პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა იქნეს დამყარებული უმთავრესათ დაკვირვებით სწავლებაზე.

ა. ჭიჭინაძე.

28 მარტს, ქუთაისი.

---

## დღიური

** დღეს, 1 აპრილს, ტფილისის ქალაქის რჩევაში ორს საგანზე იქნება მოლაპარაკება: პირუტყვის საკლავი შენობის აგებაზედ და 1876 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის შესახებ კომისიის მოხსენებაზედ.

** რაღაც ცუდი ხმები მოგვდის ქახეთიდამ ლეკების შესახებ; ამბობენ, ძველებურად „ცელქობა“ დაიწყესო; სხვათა შორის, ქიზიყში რამდენსამე ალაგს მეცხვარეებს დასცემიან და ცხვრები გაურეკიათ..

** მომავალ ორშაბათს, 3-ს აპრილს, ჩვენს საზაფხულო თეატრში იქნება ქართული წარმოდგენა; წარმოადგენენ უფ. დ. ი. ყიფიანისაგან ნათარგმნ შექსპირის ხუთ-მოქმედებიან დრამმას „ვ ე ნ ე ც ი ე ლ ვ ა ჭ ა რ ს.“ წარმოდგენის შემოსავალი დანიშნულია გორის უეზდის ორი შკოლის სასარგებლოდ.

** ამავე დღეს ტფილისის კლასსიკურ გიმნაზიის შაგირდებსაც აქვთ წარმოდგენა; შემოსავალი ამ წარმოდგენისა, როგორც „კავკაზი“ გვაცნობებს, უნდა გადადვან იმ ფულის შესამატებლად, რომელიც აქვთ მოგროვილი ამ გიმნაზიაში კურს-შესრულებულ იმ ღარიბ ახალგაზდებისათვის, რომელთაც უმაღლესი სწავლის გასაგრძობათ ღონის-ძიება არ მოეპოებათ. ამბობენ, რომ ამ მიზნისათვის 2,000 მანეთამდინ არის გიმნაზიელებისაგან მოგროვილიო და ამ მაისიდამ ზოგიერთ ყმაწვილებს დაეხმარებიან ამ ფულითაო.

„“„ ჩვენ გვითხრეს, რომ მუშტაიდის მახლობლად, ელისავეტის ქუჩის ბოლოს, ტფილისის სანიტარული კომისიის განკარგულებით იხსნება ყვავილიანი ავათმყოფებისთვის განსაკუთრებული საავათმყოფო.

** ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა:

„28 მარტს, საღამოს 5 საათზე, ალექსანდროვის ბაღში ვნახე, რომ ერთ სკამეიკასთან ხალხი შეკრებილიყო. სხვათა შორის, მეც მიველ და შევხედე, რომ სკამეიკაზე ზის ერთი ვიღაც დედაკაცი, მუხლებზედ ყმაწვილი უწევს და ცხარე ცრემლით სტირის. ეს დედაკაცი ამბობდა, რომ იმერელი ვარო, ერთ ადგილას მოჯამაგირეთ ვიდექიო, ბავშვი ავათ გამიხდა ყვავილითაო, ბატონმა დამითხოვა და დავრჩი ასე უპატრონოთ, არ ვიცი—რავქნაო.

„ხალხმა მიიღო ამ საცდავ დედაკაცში მონაწილეობა: მოიხმეს პოლიციის სალდათი და სთხოვეს, რომ ქალაქის საავათმყოფოში წაეყვანა, იქ უპატრონებენ ყმაწვილსაო. მაგრამ პოლიციელმა უთხრა, ამათ რომ ეს ჩემი საქმე არ არისო, და თავის გზას გაუდგა.

„შემდეგ ყოველი მხრით იმედ-დაკარგული, მტირალი დედა-კაცი გავიდა ბაღიდამ და სადღაც ხიდისაკენ წავიდა.

„გთხოვთ, უფ. რედაქტორო, გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ეს ამბავი; ამგვარი შემთხვევები, ამგვარი უპატრონო, გაჭირებული ხალხი, როგორც მოგეხსენებათ, ბევრია ჩვენს ქალაქში. ვინ უნდა უპატრონოს იმათ?!..“

მ. ე—ვი

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

ზემო-იმერეთი, 28 მარტს. სოფლის ღვანკითის მცხვრებლებმა ეს სამი წელიწადია დაიწყეს ახალი ეკკლესიის შენობა. მრევლში მოხდა უკმაყოფილება ეკკლესიის ასაშენებელის ალაგზედ და მრევლო გაიყო ორ ნაწილათ; ერთს ნაწილს ეკუთვნის იქვე მცხოვრები მებატონე იმ სოფლის თ. ა. ბ—ნი, რომელსაც დაეთანხმენ მეტი მომხრეები და ეკკლესია დაიწყეს ახალს ალაგზედ; მეორეს ნაწილს მრევლისას სურდა ეკკლესიის აშენება იქვე, სადაც დღეს არის ძველი ეკკლესია.

ამ დავი-დარაბის გამო, მეორეთ დაწყებული ეკკლესია და ორს არშინამდინ აშენებული, ეს სამი წელიწადია აღარ შენდება.

ამ მარტის 19-ს მისულა იქ ადგილობრივი ბლაღოჩინი შესატყობლათ— თუ რომელს მხარეს რაოდენი რიცხვი ჰყავს თავის მომხრეები, რომ ამ ხმის უმრავლესობით დაებოლოვოს ამორჩევა ეკკლესიის ასაშენებელის ალაგისა.

ბლაღოჩინმა მოაგროვა მრევლი ეკკლესიაზედ და გამოუცხადა მათ, რომ ბ—ის მომხრეები ცალკე გადგეს.

უმეტესი ნაწილი მრევლის გავიდა ბ—საკენ, და სხვათა შორის მეორე ნაწილისაკენ დარჩა ერთი დროებითი ვალდებული გლეხი თ. ბ-ისა ოქრუა ბავაშელა-შვილი, რომელიც ყოველთვის არ ემორჩილებოდა მოთხოვნილებას ამ თავის ნაბატონევისას. ამ დროს იქ იყო თ. ბ-ის მომხრეების რიცხვში, დათა ლოლაძე, რომელმაც უთხრა გლეხს, „შენ რა მოხელე ხარ, რომ რჩები მანდეთო! რატომ აქ არ მოხვალ ჩვენთან?“ გლეხმა უპასუხა:—მე არ მსურს ახალი ეკკლესია აშენდეს იქ, სადაც დღეს შენდებაო. აზნაურიშვილს ეს არ ეჭაშნიკა და შემოუტია გლეხს გასალახავათ; გლეხმა გულზე ხელი კრა და თითონ უკან დაიწია. აზნაურმა გლეხისაგან ეს მიიღო შეურაცხყოფათ, იშიშვლა ხანჯალი, შემოჰკრა ამ გლეხს წარბს ზევით და შუბლი სულ მოაცილა.

გლეხი იქვე დაეცა ძირს უგრძნობელათ და ამ საწყალმა წვრილი ცოლშვილის პატრონმა კაცმა იმავე დღეს სული ღმერთს მიაბარა.

პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ საქმეზე, ნელ-ნელა შეუდგენ ადგილობრივად ცნობის შეკრებას; მაგრამ დამაშავე ჯერაც არ არის დაჭერილი, დადის თავისუფლათ.

არა, მაინც ეს რა უბედურება არის ამ იმერეთში: თითქმის სოფელი აღარ რჩება, რომ ახალი ეკკლესიები არ შენდებოდეს და არც აშენდა არსად ისე, რომ ხალხში დიდი უსიამოვნება, სიძულვილი და განხეთქილება არ მომხდარიყოს!

ყოველთვის ხალხი იყოფა რამდენიმე ნაწილათ, ყველას თავის სურვილისამებრ უნდა წაიყვანოს ეკკლესიის შენობა, და ისე ეჯიბრებიან ერთი მეორეს, რომ საუკუნოთ მტრობა და უკმაყოფილება ჩნდება.

არ შეიძლება არა ვთქვათ, რომ ამაში ხანდისხან თვითონ სამღვდელოე-

ბას აქვს ბრალი: ჯერ ერთს მხარეს მისცემენ ნებას ეკკლესიის აშენებისას, მერე მეორე მივა, სთხოვს, ისიც იშოვნის ეკკლესიის აშენების ნებას და შეიძლება მესამემაც იშოვოს, ამ ნაირი გარდაწყვეტილება და ამნაირად ერთსა და იმავე სამრევლოში, სადაც უნდა იყოს ერთი ეკკლესია, ეს დალატაკებული ხალხი თვინიერ ყოვლისა პლანისა აშენებს სამს ეკკლესიას!... უჩქარიან ყველანი, რომ იქნება მოასწროს ერთმა მეორეს აშენება და ჩქარა აკურთხებინონ; ამ სიჩქარისა გამო ეკკლესიები შენდება სუსტად, ცუდად, ინგრევიან და მიდის უბრალოდ ხარჯი და შრომა...

ამ ორის კვირის წინათ ამ მაზრაშივე კიდევ ერთი ზემოხსენებულისთანავე უბედურება მოხდა. სოფლის ჭორვილის ეკკლესიის მრევლი ყოფილიყო მოგროებული ეკკლესიის შენობის თაობაზე; მოსვლოდათ ჩხუბი, ერთს მეორისათვის ეკრა მუცელში ხანჯალი და იქვე მოეკლა...

თუ ამ ნაირად წავიდა საქმე იმერეთის ეპარხიაში, ამ ათის წლის განმავალობაში, მგონი, ყოველს ათს მოსახლეს საკუთარი ეკკლესია ექნება....

ფუთელი.

# ომის ამბები

## ომისთვის მზადება

ბერლინიდამ იწერებიან 23 მარტს „პეტერბურღის უწყებებში:“

„პოლიტიკური საქმეების მცოდნე პირები დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ რუსეთი არ დათანხმდა ავსტრიის ყველა მოთხოვნილებაზე, მაშინ, უეჭველია, ავსტრია იმ წამსვე შეუერთდება ინგლისს და ეს ორი სახელმწიფო, ომის გამოუცხადებლად, დაიჭერენ თავის ჯარებით ბალკანის ნახევარ-კუნძულსაო.“

—

რაც შეეხება ავსტრიის მოთხოვნილებას, ეს შემდეგში მდგომარეობს: ა) ავსტრიას უნდა ექმნეს გავლენა და ზედმოქმედება დასავლეთ ბოლგარიაში და ამისათვის ის სამხედრო და სავაჭრო პირობით უნდა შეეკრას სერბიას, ჰერცოგოვინას, ბოსნიას, ჩერნოგორიას და ალბანიას; ბ) სამხრეთი სამზღვარი მომავალი ბოლგარიის სამთავროსი, რომელიც სან-სტეფანოს პირობის ძალით, ეგეის ზღვამდინ მიაღწევს, უნდა შემცირდეს, უნდა შემოეჭრას, ასე რომ ქავალისა და სალონიკის ჩრდილოეთით ხმელეთი ოსმალოს დარჩეს და ამ ნაირად ავსტრიას მიეცეს საშუალება ხმელეთის გზა იქონიოს ოსმალეთში (სტამბოლში) მისასვლელად.

—

ინგლისურ გაზეთს „Times“-ში იწერებიან ვენიდამ:

„აქ ყველანი დარწმუნებული არიან, რომ რუსეთი მეორედ ომის დაწყებას ვერ გაბედავს; ამის გამო, ამბობენ, რომ ის ძალა-უნებურად დაუთმობს ავსტრიას თითქმის ყველაფერს, რასაც კი ეს მოსთხოვს,—რომ ამ საშუალებით დააკმაყოფილოს ის და ინგლისს მოაშოროს:

„მაგრამ კიდეც რომ ასე მოხდეს, ეს იმას როდი მოასწავებს, რომ მაშინ ომი თავიდამ აცილებული იქნება: ინგლისი თავისას არ მოიშლის, ის თხოულობს, რომ სან-სტეფანოში შეკრული მორიგების მთელი პირობა შეცვლილი იქნეს. და თუ ძალიან არ გაუჭირდა საქმე, რუსეთი ამაზე ვერ დათანხმდება, ვერ მოითმენს, რომ ამ ომმა, ამდენმა სისხლის ღვრამ და ხარჯმა სულ ტყუილ-უბრალოთ ჩაუაროს.“

—

„ქელნის გაზეთში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა ვენიდამ მიღებული:

„ინგლისი და ავსტრო-ვენგრია თანდა-თან უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს; ამით აიხსნება, როგორც ამბობენ, ის გარემოება, რომ ლენ. იგნატიევმა აქ, ვენაში, ვერა გაარიგა-რა, რომ იმან არათუ ვერ მიიმხრო თავისკენ ავსტრია, არამედ ნეიტრალიტეტზედაც ვერ დაითანხმა.“

—

ამავე გაზთში იწერებიან სტამბოლიდამ:

„რუსები ამბობენ ახლა, რომ ისინი შესცდნენ, რომ იმ თავითვე არ დაიჭირეს სტამბოლი; თუ ხელ-ახლად ომი ატყდა იმ წამსვე ვერ აიღეს რუსებმა სტამბოლი, მაშინ ისინი ძალიან ცუდს სამხედრო მდგომარეობაში ჩავარდებიან, რადგან ინგლისის ფლოტი ყოვლის მხრით შეუკრავს იმათ გზასა.

„ოსმალეთის პირველი მინიმტრის აჰმედ-ვეფიკ ფაშისა და ინგლისის ელჩი ლეიარდის მეგობრობას რუსები ძალიან უკმაყოფილოდ უყურებენ, რდგან აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ, თუ ომი ატყდა, უეჭველად ოსმალოეთი ინგლისისაკენ გადავაო.

„ამას გარდა რუსებს არ მოსწონთ ის გარემოება, რომ გობარტ-ფაშა თავის ფლოტის სტამბოლთან არ არის გაჩერებული. აქედამაც ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ალბათ გობარტ-ფაშას განზრახვა აქვსო, ოსმალოეთის ფლოტით ინგლისისკენ გადავიდეს.“

—

პეტერბურღელი კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა იწერება:

„არის ისეთი ნიშნები, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ავსტრიასა და ინგლისს ამჟამად საფრანგეთიც კი თანაუგრძნობს, რადგან ეს სახელმწიფოც იმ ჰაზრის არის სან-სტეფანოს მორიგების პირობაზედ, როგორის ჰაზრისა არის ზემოხსენებული ორი სახელმწიფოც. თუ ეს მართალია მაშინ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისი კი არ იქნება მარტო მომავალს შეტაკებაში, არამედ რუსეთი.“

—

სმირნაში მისულან ინგლისის ჩინოვნიკები, რომელნიც ინგლისის არმიისათვის სურსათსა და სადგომებს ამზადებენ.

—

რომის გაზეთებში იწერებიან, რომ იტალიის მმართებლობას ბრძანება გაუცია ფლოტისათვის, რომ ყველა სამხედრო ხომალდები პირველ მოთხოვნაზედვე სალაშქროდ წასასვლელად მზათ უნდა იყვნენო.

—

ნემეცური გაზეთი „Presse“ დარწმუნებით ამბობს, გერმანიამ სიტყვა მისცა ინგლისსაო, რომ ის არ გაერევა ომში, თუ მარტო ინგლისსა და რუსეთს შუა იქნება ბრძოლა.

—

ბელგიურს გაზეთში „Indép. Belge“-ში იწერებიან ლონდონიდამ, რომ იქაური რუსის ელჩი გრაფ შუვალოვი რუსეთში დასაბრუნებლად ემზადებაო.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ერთს ფრანცუზულს გაზეთში ასე არის აწერილი ოსმან-ფაშის დაბრუნება რუსეთიდამ სტამბოლში:

„მოვიდა თუ არა ოდესიდამ ამბავი, რომ ხომალდი „ცარევნა“, რომელზედაც ოსმან-ფაშა არის, გამოვიდა ოდესის ნავსადგურიდამაო, იმ წამსვე სტამბოლის ქალაქის გამგეობამ დაიწყო იმის გესაგებებელად მზადება. დანიშნულ დღეს ყველა იმ ქუჩებში, სადაც უნდა გამოევლო ოსმან-ფაშის ეკიპაჟს, სავსე იყო ხალხით, სახლების სახურავზედაც კი შესულიყო ხალხი და დილიდამვე უცდიდნენ.

„საღამოს ექვს საათზე ხომალდი მოადგა წყლის ნაპირს; ოსმან-ფაშის, რეუფ-ფაშისა და თევფიკ-ფაშისათვის, სულთანის განკარგულებით, გამოგზავნილი იყო სასახლის კარეტები, რომელშიც ჩასხდნენ და წავიდნენ პირ-და-პირ ხონთქრის სასახლეში ილდიზ-კიოსკში. გზაზე უანგარიშო ხალხი მისდევდა ამათ დაუწყნარებელის ყვირილით: „გაუმარჯოს ჰაზი (ძლევამოსილს) ოსმან-ფაშას!“ ერთი ბატალიონი იმპერატორის გვარდია მოჰყვებოდა ოსმან-ფაშის კარეტას უკან.

„სასახლეში დიდის ამბით დაუხვდნენ ოსმან-ფაშას; თვითონ სულთანი მიეგება კარეპში, გადაეხვია, აკოცა თვალებში „პლევნის გმირს“ და უთხრა:

„— შენ აამაღლე ოსმალოს სახელი, შენის შემწეობით სახელი, პატივი მიეცა ოსმალეთის მხედრობას. აქ მო, ჩემო გმირო! აღთქმა მივეცი ღმერთს, რომ დაგიკოცნო თვალები, როგორც კი განახავ. ახლა შემიძლია ავასრულო ეს აღთქმა!“

„შემდეგ სულთანმა ჩამოჰკიდა ოსმან-ფაშას ოსმანიეს ორდენი პირველი ხარისხისა და აჩუქა იმას სულთანის ჰამიდ პირველის ძვირფასი ხრმალი. ღამის 10-ს საათზე გაუშვა ხონთქარმა ის თავის ცოლ-შვილის სანახავად.“

## სპარსეთი

23 მარტს გამოსულა სპარსეთის შაჰი

თეირანიდამ. როგორც მოგეხსენებათ, შაჰი კიდევ იწყებს ევროპაში მგზავრობას. აპრილის დამდეგს ის თფილისში გამოივლის, სადაც ორი-სამი დღე დარჩება.

# განცხადებანი

**ისყიდება** ყუთობით საუკეთესო **მაზი (წასაცხები)** ფაიტონების და სხვა პოვოზკის ბორბლებისათვის.

**თითო ყუთი ღირს 50 კაპეიკად.**

მსურველს შეუძლიან მიმართოს სარაჯევის ქარვასლაში ბ ა რ ს ე ვ ა ნ რ ა ტ ი ა ნ თ ა ნ (3—2)

# ახალი წიგნი

## „ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ვ ა ს ი ლ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს ა

ისყიდება: თ ფ ი ლ ი ს შ ი—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

(5—4)

**აბრაშუმის ჭიის თესლი** (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, სალი ისყიდება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

**ფასი** თითო მისხლისა **ექვსი შაური**

**ერთს** კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

**ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა**

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქირის და თივის სიძვირე დაამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა-

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება 1 მან. | 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ.—2 „ — | „ 1მან.50 „ |
| —დამოქნამდინ— 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან 1 „ — | „—„ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ.— „ 80 | „—„ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ 1 „ 50 | „ 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და უკან — — —1 „ 30 | „—„90 „ |

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოხჩისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

ბარდაიცემა ორი კვარტირა ძალიან იაფად, ვორონცოვის ქუჩაზე, მტკვრის ნაპირას; ერთი კვარტირა 7 ოთახიანია და მეორე 27 ოთახიანი, დიდის ეზოთი, სარაით და სხვა საოჯახო კუთვნილებით.

უფრო დაწვრილებით პირობების შეტყობა ვორონცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ნეიმანის სახლში, იკითხეთ ივანე ანტონის ძე ზემბერგი, ყოველ დღე 12 საათიდამ 5-მდინ.

(3—3)

**ქუთაისში**

**ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:**

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45

2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.

3) **ცოლი ვიტირო თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.

4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთაველისა, ფასი 50 კაპ.

5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

# თესლები

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლად-მიღებული საზღვარ გარეთიდამ **ისყიდება** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან **ლარშესთან**, გოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.

(10—10)

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი **საშენებელი ტყე**, ფიჭვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიევის სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შევასრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. ფიცრების სატანა ამ წლის, 1 მაისიდამ დაიწყება

# სალამური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

**ფასი ორი შაური.**

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა<br>თფილისი, 31 მარტი. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 50 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 05 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 30 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 13 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | 1 | 8 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 50 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 12 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 55 |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: მინკევიჩი—ხირურგი, ლისიცევი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარქაროვი—შინაგ. ავათმყოფობის, თამამშევი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ, ქიუჩარიანცი—ვენერიულის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგ. ავათმყოფ. და მინკევიჩი—ხირურგ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარქაროვი—შინაგანი ავათმყოფობის., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფ. და თამამშევი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Марта 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს მესხი.